ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6919363

ნომერი: AR11020483

თარიღი : 28.02.2024

გაცემის თარიღი : 06.03.2024

გაცნობის თარიღი : 06.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 28 თებერვლის №AR11020483 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 სექტემბრის №6653954 ბრძანებით №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (I ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 08 სექტემბრიდან 2024 წლის 08 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6664373 და 2023 წლის 20 ოქტომბრის №6718862 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 8 სექტემბრის №6653954 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა: 405.2 კვ.მ.
სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (II ბლოკი) არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის (386.7 კვ.მ.) დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ღია ავტოსადგომები 2023 წლის 20 ოქტომბრის №6718862 ბრძანებით უკვე დაფიქსირდა 2023 წლის 8 სექტემბრის №6653954 ბრძანებაში. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 01 მარტის №6914983 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მოთხოვნილია №6897964 და №6653954 ბრძანებებით შეთანხმებული პროექტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა გენგეგმის და კ3 კოეფიციენტის ანგარიშის ნაწილში. შესაბამისად, ღია ავტოსადგომების ნაწილში 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. №6897964 და №6653954 ბრძანებებით შეთანხმებული პროექტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა საჭიროებს შეთანხმებული პროექტის ცვლილებას (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ღია ავტოსადგომებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.